დანართი №1

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის

დირექტორის 23.04. 2026 წ. №14 ბრძანებით

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა -2026 წელი

	განსახორციელებელი სამუშაო	შემოწმების პერიოდი	შენიშვნა	შედეგებზე რეაგირება
1	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შემოწმება და პროფესიულ პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა	სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთი თვით ადრე	ხარვეზის დადგენის შემთხვევაში ეცნობოს აკადემიის დირექტორს	
2	საბიბლიოთეკო ფონდის (სასწავლო მასალის რაოდენობა, მოდულებთან შესაბამისობა და სხვა) შემოწმება.	სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთი თვით ადრე	ხარვეზის დადგენის შემთხვევაში ეცნობოს აკადემიის დირექტორს	
3	ვებვერდის გამართულად მუშაობის (მოძველებული ინფორმაცია ან არასრულყოფილი ინფორმაცია) შემოწმება	ინტენსიურად	ხარვეზის დადგენის შემთხვევაში ეცნობოს დირექტორს	
4	სტუდენტთა შედეგების დადასტურების ანალიზი და რეკომენდაციების გაცემა	სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ	ხარვეზის დადგენის შემთხვევაში ეცნობოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურსა და პროგრამის ხელმძღვანელს	

შეთანხმებულია აკადემიის დირექტორთან

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

დანართი №2

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის

დირექტორის 23.04. 2026 წ. №14 ბრძანებით

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს სასწავლო პროცესის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ხარისხის მართვის მენეჯერი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანებების წარმოქმნის მიზეზებს, მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და რეაგირებისათვის წარუდგენს აკაადემიის დირექტორს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე" ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) - შეამოწმე; A (act) - განავითარე).

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

1. „დაგეგმე" - ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.
2. „განახორციელე" - შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ხარისხის მართვის მენეჯერი:
   - ატარებს სასწავლო პროცესის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;
   - შეიმუშავებს გამოკითხვის (პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, პროფესიული მასწავლებლის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლის) ფორმებს;
   - ატარებს პროფესიულ სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების ხარისხის, პროფესიული მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, სტუდენტური სერვისების, პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების და სხვ. გამოკვლევის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში ახდენს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინტერვიუირებას;

- ატარებს პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანონიმურ გამოკითხვას პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით;
- ატარებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანონიმურ გამოკითხვას. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.
- ახდენს პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს;
- ამოწმებს საბიბლიოთეკო ფონდის და მოდულებში მითითებული სასწავლო მასალის შესაბამისობას;
- ახორციელებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

3. „შეამოწმე" - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემოწმდება:
   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
   - მოდულები;
   - სასწავლო პროცესი;
   - პერსონალი;
   - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

   პროგრამის შეფასებისას მოწმდება შესაბამისობა: სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნების, კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ კომპეტენციებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის; სტუდენტთა მიღწევების შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ წესთან; სწავლების მეთოდები პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა პროგრამასთან; პროგრამის უზრუნველყოფა ადამიანური რესურსებით და სხვ.

   მოდულების შეფასებისას მოწმდება: კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება; სწავლების მეთოდების შესაბამისობა მოდულის მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან; სწავლის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; მოდულის შინაარსისა და მითითებული სასწავლო მასალის შესაბამისობა; სტუდენტის მიღწევათა შეფასების გამჭვირვალობა და მრავალკომპონენტიანობა, მოდულის მიზნებისა და მოდულის შესწავლის შედეგად შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და სხვ.
   - სასწავლო პროცესის შეფასებისას მოწმდება: პროფესიული პროგრამით და მოდულით განსაზღვრული სასწავლო ფორმატისა და პირობების შესაბამისობა მიმდინარე სასწავლო პროცესთან; სტუდენტთა უზრუნველყოფა მხარდაჭერის სერვისით; სასწავლო პროცესის სრულყოფილად მიმდინარეობის უზრუნველყოფა და სხვ.

- პერსონალის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში მონაწილეობა ჩართულობა და სხვ.
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შიდა შემოწმებისას ხდება მისი შედარება პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და შესაბამისი ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, კომპიუტერული ტექნიკა (არსებობა, გამართული მუშაობა, ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი და სხვ.), ვებ-გვერდი. შემოწმების შედეგების ანალიზი წარედგინება აკადემიის დირექტორს.

4. განავითარე - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას, დასკვნების და რეკომენდაციების წარდგენას აკადემიის დირექტორისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხარისხის მართვის მენეჯერი:

- ატარებს სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს და ამოწმებს ჩასატარებელი ღონისძიებების დროულად შესრულებას;
- ადგენს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების განახლება-სრულყოფის საჭიროებას და ამოწმებს მისი საგანმანათლელო პროგრამების სპეციფიკასთან შესაბამისობას;
- ადგენს საბიბლიოთეკო ფონდისა და მოდულებში მითითებული სასწავლო მასალის შესაბამისობას და შევსება-განახლების საჭიროებას.
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს მარეგულირებელ დებულებებში შესატანი ცვლილებების შესახებ;
- აანალიზებს ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სტუდენტების, პერსონალის და სხვ. ანონიმური გამოკითხვების შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით;
- კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს და სხვ.

ხარისხის მართვის მენეჯერი: სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სხვ. ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზს წარუდგენს მილენიუმის აკადემიურ საბჭოს; საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების შედეგებს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმღვანელს და აკადემიის დირექტორს. მოდულის შეფასების შედეგებს აცნობს პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის განმახორციელებელს. სასწავლო

პროცესის განხორციელების შეფასების შედეგების ანალიზის აცნოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და აკადემიის დირექტორს.

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი.

შიდა გარემო		გარე ფაქტორები	
ძლიერი მხარეები - **Strengths**		შესაძლებლობები - **Opportunities**	
სუსტი მხარეები - **Weaknesses**		საფრთხეები, რისკები - **Threats**	

დანართი №3

დამტკიცებულია
შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის
დირექტორის 23.04. 2026 წ. №14 ბრძანებით

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

ჩასატარებელი კვლევების მეთოდოლოგია

1. შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის (შემდგომში აკადემია) სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობაში კვლევის მიზანია აკადემიის მიერ შეთავაზებული რესურსებითა და სერვისებით მათი კმაყოფილების შესწავლა.
2. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოიყენება კვლევის რაოდენობრივი მეთოდი.
3. რაოდენობრივი კვლევისათვის მონაცემების მოპოვების გზად შერჩეულია ონლაინ გამოკითხვა "Google Forms" პლატფორმის გამოყენებით, რომლის ფარგლებში თითოეულ რესპონდენტს ეგზავნება სპეციალურად შემუშავებული კითხვარის ბმული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
4. შერჩევის მეთოდის სახით აღნიშნული რაოდენობრივი კვლევისათვის გამოყენებული ქნება გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა.
5. გამოკითხვის შედეგების სანდოობის ამაღლების მიზნით, გამოკითხვა ანონიმურია და თითოეული რესპონდენტი ინფორმირებული იქნება კონფიდენციალობის მკაცრი დაცულობის თაობაზე.
6. გამოკითხვებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია;
7. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ანკეტები-კითხვარები.
8. კვლევას ახორციელებს და ჩატარებული კვლევის შედეგებს ამუშავებს აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი ადმინისტრაციის მხარდაჭერით;
9. სასურველია ყველა ტიპის კვლევის ჩატარება წელიწადში ერთხელ. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა ხორციელდება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ 6 თვის შემდეგ;
10. ჩატარებული კვლევის შესახებ ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნაში უნდა აისახოს სათანადო რეკომენდაციები და განსახორციელებელი აქტივობები და რეაგირებისათვის წარედგინოს პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიის დირექტორს;
11. აკადემიის დირექტორი, დასკვნის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს სათანადო პროცესების ინიცირებას.

დანართი №4

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის

დირექტორის 23.04. 2026 წ. №14 ბრძანებით

ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება

შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ

დასაქმებული - გვარი, სახელი თანამდებობა

მინიმალური შეფასება - 1 ქულა

მაქსიმალური შეფასება - 3 ქულა

N	აკადემიაში საქმიანობა	აღწერა და შეფასების კრიტერიუმები		შეფასება		
1	პროფესიული ცოდნა და უნარები	აკმაყოფილებს დაკავებული პოზიციის მოთხოვნებს	ცოდნა და უნარები შეუსაბამოა დაკისრებულ მოვალეობებთან			
			აქვს დაკავებული პოზიციის შესაბამისი ცოდნა და უნარები, თუმცა საჭიროებს დამატებით განმარტებებს და მითითებებს			
			აქვს დაკავებული პოზიციის შესაბამისი ცოდნა და უნარები. ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას გააზრებულად და ხარისხიანად			
2	კოლეგებთან კომუნიკაციის უნარი	აქვს კოლეგიური დამოკიდებულება და თავისუფლად ურთიერთობს კოლეებთან	უჭირს კოლეებთან ურთიერთობა			
			ურთიერთობს კოლეებთან			
			არის გულისხმიერი, კოლეგიალური და			

			შუძლია თავისუფლად ურთიერთობა კოლეგებთან			
3	პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის უნარი	მკაფიოდ, ზუსტად და ლოგიკურად აყალიბებს აზრს				
			უჭირს აზრის ჩამოყალიბება			
			შეუძლია აზრის ჩამოყალიბება მკაფიოდ, მაგრამ უჭირს დასაბუთება			
			მკაფიოდ და ზუსტად აყალიბებს აზრს. თავის პოზიციას ასაბუთებს ლოგიკურად			
4	გუნდური მუშაობის უნარი	აქვს გუნდური მუშაობის უნარი	არ აქვს გუნდურობის განცდა			
			იშვიათად არღვევს გუნდური მუშაობის პრინციპებს			
			აქვს გუნდური მუშაობის სწორი ხედვა და იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს			
5	ინდივიდუალური მუშაობის უნარი	შეუძლია ინდივიდუალურად მუშაობა და გადაწყვეტილების მიღება	არ შეუძლია ინდივიდუალურად მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღება			
			შეუძლია ინდივიდუალურად მუშაობა და მითითებებით იღებს გადაწყვეტილებებს			
			შეუძლია ინდივიდუალურად მუშაობა და სწორი გადაწყვეტილებების მიღება დაკავებული პოზიციის ფარგლებში			
6	შესრულებული სამუშაოს მოცულობა	შეუძლია სამუშაოს შესრულება დაგეგმილი	აქვს გულგრილი, ზერელე დამოკიდებულება საქმისადმი.			

		მოცულობით	შესასრულებელი სამუშაო მუდმივად დაუსრულებელია			
			შეუძლია სამუშაოს შესრულება, მუშაობს ნელა ჭირდება შეხსენება შესასრულებელი სამუშაოს შესახებ			
			ასრულებს სამუშაოს დაგეგმილი მოცულობით და ხარისხიანად			
7	შესრულებული სამუშაოს ხარისხი	შეუძლია სამუშაოს შესრულება დროულად და ხარისხიანად	უხარისხოდ შესრულებული დავალება თავიდანაა შესასრულებელი			
			შეუძლია სამუშაოს შესრულება, საჭიროებს კონტროლს			
			სამუშაოს ასრულებს დროულად და ხარისხიანად			
8	პერსონალური თვისებები	არის მობილიზებული, მართავს ემოციებს, აქვს მოსმენის კულტურა, არის თავმდაბალი და საქმეზე ორიენტირებული	ვერ მართავს მართავს ემოციებს და არ აქვს მოსმენის კულტურა			
			არის გაწონასწორებული, აქვს მოსმენის კულტურა და საქმეზეა ორიენტირებული			
			არის მობილიზებული, მართავს ემოციებს, აქვს მოსმენის კულტურა, თავმდაბალია და საქმეზეა ორიენტირებული			
9	სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი	აქვს ექსტრემალურ პირობებში გადაწყვეტილების სწრაფი მიღების უნარი	არ შეუძლია ექსტრემალურ პირობებში მუშაობა			
			უჭირს ექსტრემალურ პირობებში სწრაფი და სწორი			

			გადაწყვეტილების მიღება			
			შეუძლია ექსტრემალურ პირობებში გადაწყვეტილების სწორი და სწრაფი მიღება			
10	ეთიკური ნორმებისა და შინაგანაწესის დაცვა	იცავს ეთიკის ნორმებს და შინაგანაწესს	ხშირად აცდენს სამსახურს აურკვეველი მიზეზით, არ იცავს შინაგანაწესს და ეთიკურ ნორმებს			
			იცავს ეთიკის ნორმებს და შინაგანაწესს			
			გამოირჩევა შინაანი კულტურით, ზუსტად იცავს ზნეობრივ ნორმებს და შინაგანაწესს			
საბოლოო ქულა						
დასაქმებულის კომენტარი						

რეკომენდაციები შრომითი ურთიერთობების გადახედვის შესახებ

28 – 30 ქულა	სასურველია წახალისება და შესაძლებლობების ფარლებში კარიერული წინსვლა
23 -27 ქულა	შეესაბამება დაკავებულ პოზიციას
18 – 22 ქულა	საჭიროებს გადამზადებას
13 - 17 ქულა	ეძლევა წინადადება დაკავებული პოზიციის შეცვლის შესახებ
12 ქულამდე	არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. რეკომენდაციაა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

დანართი №5

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის

დირექტორის 23.04. 2026 წ. №14 ბრძანებით

გამოკითხვები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ

გამოკითხვა ტარდება წელიწადში ერთხელ

1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური ქულა

პარამეტრები	1	2	3	4	5
რამდენად კომფორტულია ბიბლიოთეკაში არსებული გარემო					
რამდენად კმაყოფილი ხართ სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით/სისუფთავით ბიბლიოთეკაში (არის თუ არ არის მტვერი, გადაწმენდილია თუ არა აპარატურა და ა.შ					
რამდენად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მოდულებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა?					
გაქვთ თუ არა ბიბლიოთეკაში უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა?					
რამდენად იცავს ბიბლიოთეკა სამუშაო საათების განრიგს					
რამდენად ყურადღებიანია ბიბლიოთეკის პერსონალი					
რამდენად უზრუნველყოფს ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო მასალა პროფესიული პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას					
რამდენად კომპეტენტურია ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი					
რამდენად ზრუნავს აკადემია ბიბლიოთეკის განვითარებაზე					
რამდენად ხშირად სარგებლობთ ბიბლიოთეკით?					

დანართი №6

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის

დირექტორის 23.04. 2026 წ. №14 ბრძანებით

კმაყოფილების კვლევის კომპლექსური გამოკითხვა (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი)

ტარდება 2 წელიწადში ერთხელ

გამოკითხვა ხელს შეუწყობს ადმინისტრაციას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. გამოკითხვა ანონიმურია.

1 არის მინიმალური, ხოლო 5- მაქსიმალური შეფასება

	კითხვები	1	2	3	4	5
1	რამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები მმართველ რგოლთან					
2	რამდენად კმაყოფილი ხართ ინვენტარით, რომელსაც იყენებთ					
3	რამდენად კმაყოფილი ხართ სხვა/დამატებითი სერვისებით (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ.)					
4	რამდენად იცავს აკადემიასთან დადებული ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს					
5	რამდენად მისაღებია თქვენთვის კომუნიკაციის მექანიზმები სხვა პერსონალთან					
6	პირადად თქვენ, რამდენად აქტიურად თანამშრომლობთ სხვა პერსონალთან					
7	რამდენად დაცულია აკადემიაში უსაფრთხოების ნორმები					
8	რამდენად კმაყოფილი ხართ არსებული ერგონომიკული გარემოთი (განათება, გათბობა, კონდიცირება, დიზაინი და ა.შ.)					

9	რამდენად შეესაბამება თქვენი მატერიალურ-ტექნიკური სამუშაო გარემო დადგენილ სტანდარტებს					
10	რამდენად უზრუნველყოფს აკადემია იმას, რომ პერსონალმა თავი იგრძნოს კომფორტულად					
11	რამდენად იცავს თანამშრომლები ეთიკის ნორმებს					
12	რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ანაზღაურებით					
13	რამდენად ობიექტურად ხდება პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასება					
14	რამდენად მისაღებია პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები					
15	რამდენად უზრუნველყოფს აკადემია თქვენს მონაწილეობას მისიის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში					
16	თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში, რამდენად ხართ ჩართული გადაწყვეტილებების მიღების					

თუ შეუფასებელი დატოვეთ რომელიმე კითხვა, სასურველია აღწეროთ პრობლემა და პრობლემის მოგვარების საკუთარი ხედვა:

მადლობას გიხდით გამოკითხვაში მონაწილეობისათვის.

დანართი №7

დამტკიცებულია
შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის
დირექტორის 23.04. 2026 წ. №14 ბრძანებით

საქმიანობის შეფასება

ფასდება ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული მასწავლებლი

შესაფასებელის სახელი, გვარი, პოზიცია.....

მინიმალური შეფასება 1 ქულა, მაქსიმალური შეფასება 4 ქულა
0 ქულა - აქტივობა არ შეფასდა

შეფასების კომპონენტები	შეფასება				
	0	1	2	3	4
ღონისძიებებში მონაწილეობა					
სამსახურეობრივი პასუხისმგებლობა					
კორპორაციული პასუხიმგებლობა					
პროფესიულ განხილვებში მონაწილეობა					
სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში მონაწილეობა.					
საბოლოო შეფასება					

ხარისხის მართვის მენეჯერი

მოდულების შეფასების ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა:
2. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი:
3. მოდული:
4. განმახორციელებელი:
5. მოდულის მიზნები:
ა) შეესაბამება შინაარსს
ბ) არ შეესაბამება შინაარსს
გ) მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული
დ) ბუნდოვანია
6. მოდულის შინაარსი:
ა) შეესაბამება მიზანს
ბ) არ შეესაბამება მიზანს
7. დაშვების წინაპირობა:
ა) განსაზღვრულია
ბ) არ არის განსაზღვრული
8. სწავლის შედეგები:
ა) მიზანთან შესაბამისია
ბ) მიზანთან არ არის შესაბამისი
გ)თემატიკით დასახული შედეგი მიღწევადია
დ) თემატიკით დასახული შედეგი არ მიიღწევა
9. სწავლებისა და სწავლის მეთოდები:
ა) შესაბამისია
ბ) არ არის შესაბამისი
10. ECTS სისტემის განაწილება:
ა) შესაბამისობაშია მასალის მოცულობასთან
ბ) არ არის შესაბამისობაში მასალის მოცულობასთან
11. შეფასების სისტემა შესაბამისობა კანონმდებლობასთან:
ა) დიახ
ბ) არა
12. გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისობა მოდულის შინაარსთან:
ა) დიახ
ბ) არა
13. სასწავლო მასალის/სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა
ა) დიახ
ბ) არა

რეკომენდაციები

შემფასებელი:

დანართი №9

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული [illegible]

დირექტორის 23.04. 202[illegible] №14 [illegible]

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა:
2. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი:
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობა უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან:

ა) დიახ ბ) არა

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

5. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

6. შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

7. შესაბამისობა პროგრამის შინაარსსა და მიზნებს შორის:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

8. შესაბამისობა პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

9. შეფასების მეთოდების შესაბამისობა კანონმდებლობასთან:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

10. კრედიტების განაწილება :

ა) დიახ გ) არა

11. სასწავლო პრაქტიკა:

ა) ითვალისწინებს ბ) არ ითვალისწინებს

12. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით:

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

13. პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსურად;

ა) დიახ ბ) არა

რეკომენდაციები

შემფასებელი:

დანართი №10

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული [illegible]ის

დირექტორის 23.04. 2026 წ. №[illegible] გრ[illegible]

პროფესიული მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა

გამოკითხვა ტარდება წელიწადში ერთხელ

გთხოვთ, შეავსოთ. 1 არის მინიმალური, ხოლო 5 - მაქსიმალური შეფასება

	კითხვები	1	2	3	4	5
1	რამდენად უწყობს ხელს აკადემია პროფესიულ მასწავლებლებს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სასწავლო რესურსებით					
2	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ორგანიზებით					
3	რამდენად მისაღებია ზოგადად თქვენთვის აკადემიაში არსებული სამუშაო გარემო (ჰიგიენა, უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება და ა.შ)					
4	რამდენად მისაღებია თქვენთვის ადმინისტრაციის კომუნიკაციის მექანიზმები პროფესიულ მასწავლებლებთან					
5	რამდენად კმაყოფილი ხართ თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიებით					
6	რამდენად იცავს აკადემია თქვენთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს					
7	რამდენად იცავს თქვენი შრომითი ხელშეკრულება თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს					
8	რამდენად ობიექტურად ხდება მასწავლებლის საქმიანობის ხარისხის შეფასება					
9	რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სერვისებით (აუდიტორიის ან ლაბორატორიის მომზადება, ტექნიკური მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ.)					
10	რამდენად უზრუნველყოფს ადმინისტრაცია ეთიკის ნორმების დაცვას					
11	რამდენად კმაყოფილი ხართ აკადემიაში არსებული ერგონომიკული გარემოთი განათება, გათბობა, კონდიცირება, დიზაინი და ა.შ.					
12	რამდენად მონაწილეობთ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში					
13	პირადად თქვენ რამდენად აქტიურად თანამშრომლობთ სასწავლო პერსონალის წარმომადგენლებთან სწავლების პროცესში					
14	თქვენი დაკვირვებით, რამდენად აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო პერსონალის წარმომადგენლები ერთმანეთთან სწავლების პროცესში					
15	რამდენად იღებთ მონაწილეობას აკადემიის სტრატეგიული გეგმის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში					
16	რამდენად ეფექტურია პერსონალის საქმიანობის წამახალისებელი მექანიზმები					

დანართი №11

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული [illegible]

დირექტორის 23.04.2026 [illegible]

445826937

პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასება

მინიმალური შეფასება - 1 ქულა; მაქსიმალური შეფასება - 4 ქულა; აქტივობა არ შეფასდა - 0 ქულა

სახელი და გვარი:

კითხვარი	შეფასება			
	0	1	2	3
პროფესიული პროგრამის შემუშავებისპროცესში ჩართულობა				
მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობა				
სასწავლო მასალების განახლება და სრულყოფა				
სწავლის შედეგების ინსტრუმენტების სრულყოფა				
შედეგების შეფასების გამჭვირვალობა				
სტუდენტთა კონსულტირება				
შეფასების ინსტრუმენტის მომზადება				
საბოლოო შეფასება (საშუალო არითმეტიკული)				
რეკომენდაციები პროფესიული განვითარებისთვის				

პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

შეფასების დრო

დანართი №12

დამტკიცებულია

შპს ბათუმის პროფესიული [illegible]

დირექტორის 23.04. 2026 წ. [illegible] ბრძანებით

პროფესიულ სტუდენტთა, და კურსდამთავრებულთა, გამოკითხვა

ტარდება წელიწადში ერთხელ

გთხოვთ, შეავსოთ. 1 არის მინიმალური, ხოლო 3- მაქსიმალური შეფასება

№	კითხვები	1	2	3
1	იზიარებთ თუ არა აკადემიის მისიას			
2	შეესაბამება თუ არა პროფესიული პროგრამა (ზოგადად, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით) საქართველოს შრომის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მოთხოვნებს			
3	მიღწევადია თუ არა პროგრამის მიზნები?			
4	უზრუნველყოფს თუ არა პროფესიული პროგრამის სწავლის შედეგები კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე?			
5	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამაზე მიღების წინაპირობები საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას?			
6	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სტუდენტის მიერ სათანადო პრაქტიკული უნარების ათვისებას/განვითარებას			
7	მისაღებია თუ არა თქვენთვის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართვის მექანიზმები			
8	უზრუნველყოფს თუ არა აკადემიის რესურსები საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას			
9	რამდენად ობიექტური და გამჭვირვალეა პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდები			
10	უზრუნველყოფს თუ არა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას			
11	რამდენად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების თემატიკა იმ დარგის სპეციფიკას, რომლის სპეციალისტიც უნდა გახდეთ/გახდით			
12	ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ საგანმანათლებლო პროგრამით, რომელზეც სწავლობთ/სწავლობდით (მისი ყველა ასპექტის: სალექციო კურსების, მათი თანმიმდევრობის, შინაარსის, პრაქტიკის, დავალებების და ა.შ. გათვალისწინებით)			
13	რამდენად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის არჩეულ სპეციალობაში თეორიული ცოდნა			
14	რამდენად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის: სწავლის პერიოდში შესაბამის დაწესებულებაში გავლილი პრაქტიკული კომპონენტი			
15	რამდენად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები			